ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6488137

ნომერი: AR1967954

თარიღი : 24.05.2023

გაცემის თარიღი : 01.06.2023

გაცნობის თარიღი : 01.06.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მეფე სოლომონ ბრძენის ქუჩა, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანა თორაძე პ/ნ 01012016875
- თბილისი გარეკახეთის ქ. N 4 ბ. 7

ორგანიზაცია:
- შპს "ნიკა" კოდი: 206143699

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ნიკა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206143699
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ანა თორაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01012016875

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 123.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 138.63
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 449.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 352.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 96.6
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7.78
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.78
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ 2023 წლის 24 მაისს ელექტრონულად ატვირთული AR1967954 განცხადება, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, სოლომონ ბრძენის ქ. N28-ში არსებული შენობის დემონტაჟის საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N20; 01.06..2023წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, მეფე სოლომონ ბრძენის ქ. N28-ში არსებული შენობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.
ამასთან, თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი:

· ვინაიდან შენობა არსებული მდგომარეობით მდებარეობს საკადასტრო საზღვართან დროებითი ღობე და მისი ფარი(ქოლგა) სწორად იქნეს დატანილი სამშენებლო გენგეგმაზე და ასევე დროებითი საფარიანი ღობის საზოგადოებრივ სივრცეში მოწყობასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნას ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;

· არ არის გათვალისწინებული ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაცია, დემონტაჟის ეტაპზე სარდაფის შეფასების საჭიროებასთან დაკავშირებით. მხოლოდ მითითებულია: „სარდაფის მოცულობის დანგრევა“

2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:

· ნაწილობრივ წარმოდგენილია წინა განაცხადზე ატვირთული გადათარიღებული ფოტოები, საჭიროა განახლდეს.

3. საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა:

· სადემონტაჟო სამუშაოების მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევაში შესწორდეს დასავლეთით მდებარე მომიჯნავე შენობის საკადასტრო კოდი (ს.კ. 01.17.01.110.040)

4. დამატებით, საჭიროა:

· ანაზომებზე დატანილ იქნეს საკადასტრო საზღვარი, მოინიშნოს მომიჯნავე შენობებთან არსებული საერთო კედელი, როგოც ეს აღნიშნულია წარმოდგენილ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევაში;

· განიმარტოს, თუ რომელ საკადასტრო საზღვარში ექცევა საერთო კედელი;

· დეტალურად განიმარტოს თუ რა სამუშაოებია დაგეგმილი, ვინაიდან წარმოდგენილ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევაში აღნიშნულია, რომ „..მომიჯნავე შენობის პერიმეტრზე, სადაც შენობებს აქვთ საერთო კედელი, ან ორივეს დამოუკიდებელი კედელი და მიდგმულია ერთმანეთზე, სადემონტაჟო ნაგებობის ეს კედლები არ იშლება და დემონტაჟის გამაგრებამდე მოხდება ამ კედლების გამაგრება..“

· საჭიროების შემთხვევაში, გეგმა-გრაფიკი დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს დაგეგმილ სამუშაოებთან;

· ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები შეეხება საერთო კედლებს მაშინ წარმოსადგენი იქნება შესაბამისი მომიჯნავე მესაკუთრის თანხმობაც.
ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

· დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

· გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.